კლდე

№ 19

11 მაისი 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

3 მან.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

ყოველ კვირეული საზოგადო.-ეკონო-
მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 9—3 საათ.

წელიწადი მესამე

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია ,,კლდე''. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი: 1. ახალი უბედურება. 2. კრებების სეზონი.—მეგობარისა. 3. უცნაური იუბილეი.—ეკალისა. 4. პ რ ე ს ა. უკანასკნელი ამბები. 5. პოლიტეხნიკუმის კურთხევის გამო.—დამსწრესი. 7. გაზეთებიდან. 8. ჩვენს ლექციებზედ.—ლიმონასი. 9. თეატრი და ხელოვნება.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეულ საზოგადო.-ეკონომიურ და სალიტერატურო ჟურნალ ,,კლდე''-ზედ.

ფ ა ს ი:

1 წლით	. . . . .	3 მან.
6 თვით	. . . . .	2 მან.
3 თვით	. . . . .	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგნ 5 კაპ.

ახალი უბედურება

სამხედრო უწყებას პოლიგონი დასჭირდა. აშურიანი, მკვებავი გამოლმა სოფლებისა არაფრად ეყო; ტირიფონა, მკვებავი მთელი ქართლისა, შუაგული, ეკონომიური ბაზისი გორის მაზრისა, თავისი სოფლებით, მცხოვრებლებით ამ საბედისწერო პოლიგონსა ჰყვება. მთელი ქვეყანა ღაღადებს ამ უბედურობას, მცხოვრებნი სტირიან და პირს იხოკენ, მაგრამ პოლიგონს თავისი „სახელმწიფო მოსაზრებანი“ აქვს და იგი განზედ იწევს. იგი არა კმაყოფალდება მტკვრის გაღმა მხარით, იგი გამოღმაც აპირობს გამოსვლას და მეტეხსა, გრაკალს, ბარნაბიანთ-კარსა, და ყარაღაჯს ეპოტინება. ვისაც ცოტაოდნად წარმოდგენა მაინცა აქვს ქართლზედ, ვინც იცის თუ უკანასკნელ დროს სწორედ ქართლში როგორ წაიწია მეურნეობამ, მებაღეობა მეკენახეობამ, ის მიხვდება თუ რა საშინელ განსაცდელით ემუქრებიან მთელს გორის მაზრას. რა უმაღლესი მოსაზრება შეიძლება დაუპირდაპირდეს იმ განუზომელ ჭირსა, რომელიც უნდა თავს დაატყდეს მთელს ამ მხარეს; რა მოსაზრებით შეიძლება გამართლდეს 20—30 ათასი მცხოვრებელის აყრა, მათი მიწა-წყალის, მამულ-დედულის, საფლავების გადათხრა? ვერავითარ მტრის შემოსევას, შაჰაბაზის მოსვლას ვერ შეუძლიან ასეთი ამბავის დაღწევა.

— ჩვენ ხომ კარგ ფასს გაძლევთო, მწარე დაცინვით ამბობენ დამფასებელ კომისიის წევრები.

— არ გვინდა, თქვენი ჭირიმე, ყელებს ნუ დაგვჭრით, ჩივიან გლეხები.

მაგრამ კომისია თანდათან უფრო განზე იწევს და დღეს-ხვალ იქნება მოწამენი გავ'დეთ, რომ მთელ გორის მაზრას აჰყრიან, ან დაუპირებენ მაინც. ყოვლად შეუძლებელია, ყოვლად უაზრო და ბარბაროსული ის წესი, რომელიც აღარაფერს ერიდება, არც მოსახლეობას, არც შემუშავებულ მიწას, არც კერძო საკუთრების პრინციპს, არც ათასწლობით შესისხლხორცებულ ჩვეულებას საკუთრების ხელუხლებლობისას და ჯალათივითა სწყვეტს მიწიდან სიცოცხლის ნიშნებს. მერე რად? რომ უსიცოცხლო ზარბაზნებმა იგრიალონ, რომ ცხენებმა იჯირითონ, და სალდათებმა ივარჯიშონ, თითქო ამისათვის აუცილებელი საჭირო მიწა არ მოიძებნება უფრო მოტიტვლებულ, უფრო ხელსაყრელ ადგილას. არა, ეს რაღაც არაჩვეულებრივი დარბევაა, მცხოვრებლებზე ზრუნვის მაგივრად, ეს რაღაც ,,პოგრომია“.

საწყალი გლეხობა, რომელიც ვერ მოსულიერებულა 1905—6 წლის ამბებისაგან, რომელიც ძლივ ძლივობით შეუდგა მიწის სყიდვას, გაკეთებას; თავად-აზნაურობა, რომელიც ეხლა-ღა ერკვევა და აკოწიწებს თავის სამეურნეო ძალებს; მთელი უზარმაზარი რაიონი უნდა აიყაროს, გაოხრდეს და გატიალდეს. უსარგებლო მიწად უნდა გადაიქცეს ის მცირედიც, რომელიც ქართლში ძლივსა ჰყოფნიდა მცხოვრებთ.

ასეთი საზარელი ამბავი 1905 6 წელშიაც არ მომხდარა, როცა ცეცხლითა და მახვილითა სჯიდნენ აჯანყებულთ, სწვავდნენ და ჰბუგავდნენ გურიას. დღეს კი რა მოხდა ასეთი, როცა სიმშვიდეა ყველგან, როცა ხალხი უსიტყვოდ ეწევა თავის ჭაპანს და ჩაჰყურებს თავის ერთად-ერთ მაცხოვრებელ მიწას? რ. დაუშავა ქართლმა? თვალებს ნუ გვიბრმავებენ იმით, რომ ლათაიებით გვართობენ: ეს გამდიდრებს გორსა და ქართლსაო, ჯარს ბევრი საზოგადო უნდა და სხვაო. ეს საზარელი უბედურებაა, და ვისაც თვალნი აქვს ხედვათ და ყურნი სმენად—მიეშველენით ქართლს, ააცდინეთ თავიდან ეს აუტანელი ხიფათი. სად უნდა წავიდეს იმოდენა ხალხი, სადა? იგი ვერსად გაიჩენს მკვიდრ ბინას, რადგან ათასწლობით შეჩვეულია ერთ ადგილას ყოფნას. მერე ვინ არ იცის, რომ ქართველები საზოგადოთ და ნამეტნავად ქართლელები საშინელი უძრავი ხალხია და სხვაგან გადახვეწა მათი სიკვდილი იქნება, რაც უნდა ფული ჩააყაროონ. ან რად უნდა სამხედრო უწყებას მაინცა და მაინც ასე ძვირად ღირებული ადგილი? ან დავიწყებულია სამართალიც და კანონიც?

ან როდის ყოფილა სადმე იგი. გლეხის გაჩენაში ღმერთი არა რეულაო თუ ამბობენ, დღეს თამამად ითქმის, რომ არც ქართლის გაჩენაში რეულა ღმერთი. საშინელი განსაცდელია, საშინელი.

კრებების სეზონი

დადგა სეზონი ყოველგვარ საზოგადოებათა და დაწესებულებათა კრებებისა, სადაც ხშირად ძლიერ ცხარე და საინტერესო კამათიც იმართება და ხშირად ეხებიან არა მარტო თვით იმ დაწესებულების საგულისხმო, არამედ მთელი მხარესათვის და ჩვენი ერისათვის დიდმნიშვნელოვან საკითხებსაც.

ხშირად ისეთი საინტერესო საკითხები აღიძრება ხოლმე, რომ ყველა დამსწრეს თითქმის ერთნაირად აინტერესებს, მაგრამ რადგანაც კრების დიდი უმრავლესობა თითქმის სრულიად ვერ იცნობს საქმის ვითარებას და არც აღძრულ საკითხს, იძულებულია იქვე საჩქაროდ გაეცნოს საკითხს და ასე აუწონ-დაუწონავი აზრი და წინადადება მისცეს კრებას.

უმეტეს შემთხვევაში ამ კრებებზე წლითი-წლობით სულ ერთი და იგივე პირნი ამბობენ რიხიან, შაბლონურ, წყალ-წყალა სიტყვებს და ამ სიტყვების კორიანტელისათვის ჩვენი საზოგადოებაც ხშირად ტაშით აჯილდოებს ორატორებს, მაგრამ თვით საქმისათვის ამას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს და წუთით მონაბერს აღფრთოვანებას ქარი ანიავებს. ასეთი ფუჭი ლაპარაკის თავიდან ასაცლიებლად საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს კრების მოწვევას.

ახლა ისე, სხვათა შორის გამოაცხადებენ ერთხელ გაზეთში: კრება ამა და ამ დღეს იქნებაო და გათავდა, ამით უნდა დაკმაყოფილდეთ.

ჩვენი აზრით, აუცილებლად ნაჩვენები უნდა იყოს რა და რა უმთავრესი საკითხები იქნება ამ კრებაზე აღძრული და ისიც თუ ვისმეს აქვს მოხსენება. ყოველ საზოგადოებას ხომ ჰყავს თავისი გამგეობა და იმან უნდა მუხლობრივ გამოაცხადოს, თუ თითონ ექნება რაიმე ახალი წინადადება ან მოხსენება.

აგრედვე ყოველ გარეშე პირსაც უნდა მოსთხოვოს განზრახული მოხსენება, გაეცნოს თითონ და თავისი დასკვნა და აზრი დაამზადოს და ორივე წინასწარ უნდა გამოაცხადოს დებულებათა სახით, რომ საზოგადოებას შეძლება მიეცეს გაეცნოს და თითონაც ჩაუფიქრდეს საკითხს და მომზადებული, გადაჭრილი, აწონ-დაწონილი წინადადებით მოვიდეს კრებაზე,

მაშინ არ გამეორდება ის არა სასურველი მოვლენა ჩვენს კრებებზე ახლა რომ ხდება, მოუფიქრებელი წინადადებები, ერთი მეორის აზრების გამეორება და სიტყვიერი კინკლაობა.

მეგობარი.

უცნაური იუბილეი

ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთს
ადგილას ახრჩობსო.
ხალხური ანდაზა.

რუს მონაზონთა მონასტერი ბოდბეში თავის დაარსების 25 წლის იუბილეის დღესასწაულობს.

რომელ ქართველს არ ეცოდინება ბოდბე.

რომელ ქართველს ბოდბის ხსენებაზედ გული არ აუძგერდება,

რომელი უკანასკნელი ქართველი ქედ მოხრილი და მუხლ მოდრეკილი სასოებით პატივს არა სცემს ბოდბის პატარა ეკლესია-აკლდამას — იმ აკლდამას, სადაც ივერიის წმიდათა-წმიდა ნაშთი ასვენია:

ნაშთი წმიდა ნინოსი!

ბოდბე უძვირფასესი კუთხეა საქართველოსი
ბოდბე უწმიდესი კერაა ქართველებისა
ბოდბე დიდებული ძეგლია ქრისტიანულ ივერიისა.

საქართველოს არე-მარე მრავალ ძვირფას ნაშთებით მოფენილია, სხვა და სხვა ეპოქის ნაშთებით, მაგრამ მათ შორის უდიდესი და უძვირფასესი ბოდბის ნაშთია...

რადგანაც იგი მარტოა, როგორც ერთი ეპოქის გამომსახველი: თხუთმეტ საუკუნის ქართულ ქრისტიანობის ეპოქისა!

წმიდა ნინომ მოუტანა საქართველოს ქრისტიანობა, ქრისტიანობამ კი დაჰბადა საუცხოვო ქართული ისტორია და ის კულტურა, რომლითაც დღეს ქართველობას თავი მოაქვს და სამართლიანადაც ამაყობს.

მაშ რომელ უკანასკნელ ქართველს არ ეცოდინება ბოდბე?

ამიტომ, ის რაც ხდება ხოლმე ბოდბის მონასტრის შიგნით, ყოველ ქართველის დიდ ყურადღებას იქცევს.

დღეს ბოდბეში რუს მონაზონთა მონასტერი 25 წლის იუბილეის დღესასწაულობს.

ვამბობ რუს მონაზონთა მონასტერი, რადგანაც ამ ყოფილ ქართულ მონასტერში დღეს არც ერთი ქართველი აღარ მოიძებნება. რატომ?

25 წლის წინად, როდესაც რუსეთის სასულიერო წოდების მამა-მთავრად ცნობილი პობედონოსცევი იყო, ამ კუთხეს სინოდმა დიდი ყურადღება მიაქცია.

პობედონოსცევმა მიზნად დაისახა: ხელში ჩაიგდოს ეს წმიდათა წმიდა საქართველოსი და ამითი თავი მოჰკვეთოს ქართულ ეკლესიასაც.

ყველა ზომები იყო მიღებული, რომ წმინდა ნინოს საფლავისათვის ქართველები მოეშორებინათ.

ყოველ წელს რუსეთის მონასტრებიდან იგზავნებოდნენ ახალი მონოზნები. ინიშნებოდნენ იღუმენიებად ისეთნი, რომელთაც სასტიკად ევალებოდათ განდევნა ყოველი ქართულისა...

ამ ხუთის წლის წინად, თვალის სანახავად, მონასტერში ოთხს ქართველს მონოზანს და ერთს მღვდელს ინახავდნენ.

დღეს ეს თვალისანახად ქართველნიც მონასტრიდან გააძევეს!..

და მასთან უცნაური კოლეგია მოაწყეს, სადაც პაწია ქართველ ბავშვებს სპეციალურ „აღზრდა-განათლებას" აძლევენ!

ლაიოლას პოლიტიკა!

წმინდა ნინოს აკლდამას მოაშორეს მოსიყვარულე ქართველი სული და მის სახელის სკოლას— ქართული გული და სული.

და ეხლა იუბილეის დღესასწაულობენ...

კარგი ფონი უშოვნიათ იუბილიარებს და მათს წინამძღვრებს...

მაგრამ ამ ფონს ერთი სახიფათო ადგილი აქვს...

ეს ადგილი არის—რელიგიური და სულიერი გრძნობანი ერისა.

ეს საშინელი ადგილია, სადაც გამვლელი თუ ფეხს შესდგამს უსათუოდ დაიხრჩობა.

უდიდესის წმინდანის ქართველ ერისა, წმინდა ნინოს საფლავზედ პოლიტიკურ ექსპერიმენტების წარმოება მეტად სახიფათოა...

დღევანდელ ქართველობამ თვალები ახილა.

ეკალი.

პ რ ე ს ა

გაზეთი „აზრი" ჩვენს წერილზედ ,,გელეიშვილის ლექციაზედ'', ასე გვიპასუხებს:

პურიშკევიჩებიც ასე ამბობენ, თქვენ არჩევთ სტოლიპინების საქმიანობას და მაშ ჩირქს სცხებთ რუსის ერსა.

ასეთი ლოღიკისათვის მეთვრამეტე ნომერში ჩვენ „ნარევი" გვქონდა და ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ პრესაშიაც მარტო სიცილის ღირსნი იქნებოდნენ ,,აზრის'' აზრიანი ლოღიკოსები.

ერთხელ პურიშკევიჩმა სთქვა სიტყვა: ,,აზრი''; ს.-დემოკრატების ქართულ გაზეთს აწერია სათაურად: ,,აზრი''—აქედან პირდაპირი დასკვნა შეიძლება გამოიყვანონ ,,პროლეტარებმა მთელი ქვეყნისა", რომ სოციალ-დემოკრატიის და პურიშკევიჩის აზრი და მიმართულება—ერთი და იგივეა. რუსები ამბობენ: „Въ темнотѣ всѣ кошки сѣры" და უნდა ვიფიქროთ, ასევე ბნელა „აზრის" მეპრესეებისათვის.

ყველამ გაიგო, რომ ილიას მკვლელი იყო ვინმე ნამამასახლისარი ინაშვილი. ეს იციან ფედერალისტებმაც... მერე ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი სოციალ-დემოკრატიასთან ინაშვილს? 1905-ში ჩვენ ბევრი გვექადაგებოდა, მარა ინაშვილი ჯერ კიდევ ოქტომბრის დღეების წინ ჩვენი რაზმის გარეშე გამოაცხადა დუშეთის მიტინგზე ის. რ—მა. ამას მოწმეა მრავალი ათასი კაცი.

ყველამ იცის, რომ ინაშვილს ამოქმედებდა კერძო ინტერესები, ვინაიდან ილია ჭავჭავაძემ ხალხის თხოვნით ხელი შეუწყო ინაშვილის მამასახლისობიდან გადაყენებას.

თქვენ, შავრაზმელებო, წინააღმდეგს ღაღადებთ. გავარჩიოთ ეს ტირადა. რასაკვირველია ყველამ იცის რომ ფიზიკური მკვლელი იყო ინაშვილი და ძმანი მისნი, მაგრამ ყველამ ისიც კარგად იცის, თუ რასა სწერდა მახარაძე და როგორ იხსენიებდა სოციალ-დემოკრატია ილიას. ისიც ყველამ იცის, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ინაშვილს ს.-დემოკრატიასთან და თუ ის. რ—მა მიტინგზე გამოაცხადა ინაშვილის განდევნა პარტიიდან, შეიძლება იმ უბედურმა კიდევაც იფიქრა: ილიას მოკვლით, ამ ჯაშუშისა და ავაზაკისა, ამ ხალხის გამყიდველისა— სახელს ავიდგენ და ძლიერ (იმ დროს მაინც) პარტიის წევრად ხელახლა გავხდებით. რაღა თქმა უნდა ინაშვილს **კერძო** ინტერესებიც ჰქონდა, მაგრამ ხშირი არ იყო განა, რომ იმ დროის „ტერორისტები" ერთმანეთში **აზავებდნენ** კერძო და საზოგადო ინტერესებს? განა სოციალ-დემოკრატია არ იყო, რომ სამართლიანად უკიჟინებდა ესერებს: თქვენი ტერორი უმიზნოა, რადგან იდეის გალატაკებასა ნიშნავს და იდეურ მუშაკებს ამაზედა ჰკარგავთ, განა იგივე სოციალ-დემოკრატია არ ჰქმობდა იმ ხანად ტერორს, თუ არ „ხალხის გულიდან ამონახეთქი?" ხალ-

ხის გულიდან კი მაშინ გამოდის მკვლელი, როცა მას კერძო ინტერესიც აქეზებს ბოროტ-მოქმედებაზედ. ინაშვილებისათვის კი ეს ბოროტ-მოქმედება შარავანდედითაც იყო შემოსილი, რადგან „ჯაშუშის და შავრაზმელის“ მოკვლა იმ ხანად რაინდობად ითვლებოდა, და როდესაც ჩვენ გაბედულად ვამბობთ, რომ **თქ.ენ** მოჰკალით ილია, ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ მახარაძემ, გელეიშვილმა ან ვინემ სხვამ თავისი ხელით მოჰკლა, არამედ **ი?ათ შეჰქმნეს ისეთი ატმოსფერა და იმისთანა დროს, როცა ეს მკვლელობა აუცილებელი თუ არა, შესაძ.ებელი გახდა.** აი ეს არის ჩვენი ბრალდება, ამას ვწერდით კიდევაც წინად და ვერც არავინ დაარღვია ესა და ვერც არავინ დაარღვევს. ამას ისიც უნდა დაუმატოთ რომ მთელს სოციალ დემოკრატიულს მოძღვრებაზედ, ან პარტიაზედ ჩვენ უფრო დიდი წარმოდგენისანი ვართ, ვიდრე გადაგვარებულ მახარაძესა და გელეიშვილებზედ: ჩვენა გვგონია, რომ ეს სიბილწე ისევე განსადევნია თქვენი პარტიიდან, როგორც ინაშვილის, რადგან ინაშვილმა მოჰკლა მართალია დიდი, მაგრამ ერთი ილია, მახარაძენი და გელეიშვილები კი შხამავენ ათასი ადამიანის გულს იმისთანავე მკვლელობისათვის. და როცა თამამად იძახით: **წარ?ოადგინეთ თქვენი საბუთებიო**, თქვენ კარგად იცით, რომ შეუძლებელია წერილობითი, ან სხვა მატერიალური საბუთი იყოს იმისა, თუ **განსაზღვრულ დრ.ს, განსაზღვრულ პირობებში**, როგორ იმოქმედებს ადამიანზედ ესა თუ ის ქადაგება.

ჩვენ უაღრესად ისიც გვაშფოთებს, რომ თქვენ, ხელმძღვანელნი, ხელს უწყობთ ბრბოს და შეუგნებელთ,—**ეხლაც**, ილიას სიკვდილის შემდეგ ისევე ქვენა გრძნობებით იხელმძღვანელონ თავიანთ მოქმედებაში. როდესაც თქვენ ბეჭდავ.ი ჩვენზედ: აი, თქვე შავრაზმელებო, ხულიგნებო, პურიშკევიჩებო და სხვა იდეურ საბრძოლველ იარაღს ვერა ხმარობთ, რად უნდა გაგიკვირდეთ, რომ ასეთს თქვენს დემაგოგიას საზიზღრობა მოჰყვება ხოლმე? ილიას მკვლელობა ასეთივე შედეგია **თქვენის** პროპაგანდისა და თუ ბრალი გვიდევს **ჩვენც**—ეს მხოლოდ იმაში რომ ჩვენც იმ უბედურ ჟამსა ვცოცხლობდით, როცა ილია მოჰკლეს.

რაც შეეხება იმათ, რომ ჩვენც ფედერალისტებს მიგვატმასნეთ—ეს ჩვეულებრიკი ოქვენი სიბრმავეა, რადგან ვინც თქვენ რაზმს არ ეკუთვნის, ყველა „შავრაზმელი და ფედერალისტია“.

შავრაზმელობას და ხულიგანობას თქვენ თითონ იჩენთ ჯერ ჯერობით, აი, თუნდა იმაში, რომ ერთად ერთი გაზეთი „თემი“ ხმ.ს არ იღებს ამ საკითხზედ, და თქვენ იწვევთ, გინდა თუ არა, შენც ჩაერიე საერთო განგაშშიო, რომ თქვენი ღვარძლიანი დემონსტრაცია ქვენა-გრძნობებისა უფრო თვალსაჩინო გახდეს; ქუჩის ბიჭებმა რომ იციან: ასტეხავენ „სკანდალს“ და მერე დაძვრებიან ხალხში: ჰა, შენც ჩაერიე, სერი უფრო კარგი გამოვაო.

—

სიღნაღის არჩევნებმა მთელი ქართული პრესა ააღელვა. სომხები მუდამ უსაყვედურებენ ქართველობას—ნაციონალისტები ხართო და თვითონ მუდმივ და სისტემატიურად განაგრძობენ თავის ნამდვილ შოვინისტურ პოლიტიკას. აი რასა სწერს ამაზედ გაზ. „იმერეთი“.

> როდესაც სომხის ჩარჩი ვაჭრები ქართველების წანაშე უსამართლობას ჩ.ადენენ და ქართული გაზ.თები ამის წინააღმდეგ ხმას ამოიღებენ, სომხის გაზეთები ჩვენვე გვამტყუნებენ, ინტერნაციონალიზმისადმი დალატს გვაბრალებენ და თან გვეშუქრებიან: ხმა გაკმინდეთ, თორა იმასვე იგემებთ, რაც ჩვენგან თორებმა იწვსიესო.
>
> სომხის ბურჟუაზია ინტერნაციონალიზმის სახელით გველაპარაკება და გვაშინებს! ერთსა და იმავე დროს საერთაშორისო ძმობისა და ბრინციპებზეაც მიგვითითებს და შავრაზმული „ბოგრომებითაც“ გვეშუქრება. აქედან ნათლად სჩანს, რაგორიც არის მისი ინტერნაციონალიზმი!
>
> ჭკიტხავენ ქართულ გაზეთებს, რომელთაც სამართლიანად დაჭგმეს სომხის ბურჟუაზიის შოვინისტური საქციელი, და სომხის ბურჟუაზიაზე კი ამბობენ: ხელში ძალა უჭირავს და ნება აქვს, რაგორც-უნდა, ისე მოიხმაროსო.
>
> ცხადია, ეს შემცდარი პოლიტიკაა! სომხები გაფანტულნი არიან ქართველთა შორის და არ გამოადგებათ მტრული პოლიტიკა იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც მათ ასაზრდოებს.
>
> ამბობენ, ქიზიელი უკვე ბოიკოტის გამოცხადებას აპირობსო, და, თუ ეს ხმა გამართდა, ეს ხომ საშინელება იქნება იქაური სომხის ვაჭრებისათვის.

მაგრამ სომხები პირიქით, დარწმუნებულნი არიან რომ ეს ქართველებს ავნებს... არ ვიცით ეს ავნებს თუ არა მომავალში ქართველობას... მაგრამ საკითხავია რა სარგებლობა მოაქვს დღევანდელს სომხობის „ძმური“ პოლიტიკაა ქართველებისათვის?

——

ქართველების მართლაც ისტორიულ და დღე-

ვანდლამდესაც კი ძმურს ქცევით, სომხები ვერაგულად სარგებლობენ. თუ წარსულში საქართველო კარებს ღებდა დაჩაგრულ სომხის ერს და თავის მიწებს უთმობდა, რომლითაც სომხის შოვინისტებმა ისარგებლეს და ეხლა საქართველოს ხარჯზედ სომხეთის ტერიტორიის შექმნას აპირობენ, დღესაც ამისდა მიუხედავად გულუბრყვილო, მაგრამ კეთილშობილი ქართველობა მაინც ძველებურად ეჭცევა სომხებს.

„ბათუმის გაზეთი“ მაგალითად ასახელებს ქ. ბათომს, სადაც სომხებს საკუთარი ძალით ერთის ხმოსნის არჩევაც არ შეუძლიანთ, მაგრამ საბჭოში ყოველთვის 6—7 სომეხია, რაიც სრულიად სამართლიანად აღიარებულია ბათომელ ქართველთა შორის.

,,ეს უნდა—ამბობს ხსენებული გაზეთი,—მივაწეროთ ბათომულ ქართველობის ტაქტს. რატომ ასევე არ იქცევიან სომხებიც, სადაც ისინი ქართველებზე მეტს ძალას წარმოადგენენ?''

საინტერესოა ეხლა პასუხი გაზეთ „ჰორიზონისა“.

———

აი რამდენი ხანია, რაც „სახალხო გაზეთში“ ვეებერთელა ფელეტონები იბეჭდება ვინმე ი. კარბელაშვილისა გადაღებულ ხიზანთა საკითხზედ. ყოველ დღე ახალი ხიზანთა „მეცნიერები“ ჩნდებიან, უთავბოლოთ სწერენ, ანადგურებენ ნამდვილ ფაქტებს, ციფრებს, სინამდვილეს... ვინ უშლით? სწერენ, რადგანაც საბრალო ქართველი მკითხველი ყველაფერს მოისმენს და აიტანს... რასაკვირველია ბატონ ივ. კარბელაშვილს თვალში ჟურნალი „კლდე“ აქვს აღებული... ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ვითომ-და გააბათილოს „კლდის“ საფუძვლიანი დებულებანი, ხიზანთა საკითხის გამოკვლევანი და უკანასკნელ ფელეტონში ვეღარ ეყო მასალა და დაამთავრა.

მთავრობის აზრით ხიზნებმა 23,000 დესეტინა უნდა შეისეიდონ. თავად-აზნაურობას ეს ებევრა. თუ ამდენი მამული ხიზნებს ერგოთ, თავადაზნაურობა სულიან-ხორციანად დაიდუშებაო. ამას ამბობს ჟურნალი ,,კლდე''.

ასეთს სისულელეს ცხადია „კლდე“ არ იტყოდა... გადიკითხეთ ჟურნალის მთელი წერილები ხიზანთა საკითხის გარშემო და დაინახავთ, რომ ეს ბ. კარბელაშვილის „უხეშად ჩამოსხმული ტყუილია“.

და ამიტომაც უსიამოვნოა და უნუგეშოც ამნაირ მწერლებთან რაიმე სერიოზულ კამათში ჩაბმაც. თუნდაც რომ „ორიგინალური და თავისებური“ აზრები ბ. კარბელაშვილისა ხიზნებზე დიდ საკამათო და საპასუხო მასალასაც იძლეოდეს.

—

არა ნაკლებ ორიგინალურ აზრებს გამოსთქვამს ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზი ანტონი რუსულ სასულიერო გაზეთებში „Церковныя Вѣдомости“ № 1 и „Вѣстникъ Груз. Экзархата“-ში (№№ 1 – 6), თუშ-ფშავ-ხევსურების სარწმუნოებრივ მდგომარეობაზედ:

,,ქრისტიანული იდეა—ბრძანებს ეპისკოპოზი ანტონი—უცხოა ფშავ-ხევსურის გულისა და თავისათვისაო... ეს მთის ველური ქვეყანა ელის მოციქულებს, რომლებიც მართლმადიდებელ საეკლესიო სარწმუნოებრივ აზრს გახდიან მათ სულიერ მოთხოვნილებათ''... (რუსულ დედანში—слѣдали бы достояніемъ туземнаго духа).

ამ უცნაურ გამოკვლევით ქართველი ეპისკოპოზი (თვით ტუზემეცი) სინოდის გამოცემებში რასაკვირველია მიმართავს რუსეთის სასულიერო მართველობას მიეშველეთ ველურ კერპთაყვანისმცემელთა ქვეყანასაო. ე.ი. მისიონერები აფრინეთო და რუსეთის მართლმორწმუნე ეკლესიის „დუხი“ ხალხში ჩათესეთო... „მისიონერებსაც“, რასაკვირველია ეს უნდათ. „პროგონი, სუტოჩნი“, კაი ჯამაგირი და თუშ-ფშავ-ხევსურების ძველებური ქართულ კერპებისაგან განთავისუფლება!.. მაგრამ რა უნდა ქართველ ეპისკოპოზ ანტონის?

ძველად-ძველ ქართულ მართლმორწმუნე ქრისტიანობის გმირ დარაჯებს რათ აწიოკებინებს? განა საკმარისი არ არის რომ ბარის მართლმორწმუნე ქართველობა ამ „დუხში“ იორჩობა და მის წყალობით არც ახალს შეეთვისა და ძველი ქართული ქრისტიანული ზნე-ჩვეულებანი, ადათები და ეკლესიები მიატოვა?..

და ამისთანა „ქართველი'' ეპისკოპოზები აჩუქა ქართველ ერსა? ვგონებთ საკმარისია...

უკანასკნელი ამბები

ჩვენს რედაქციაში გამოფენილია სამი სურათი, დახატული ცნობილ მხატვარ ბ. გაბაშვილისაგან. მსურველთ შეუძლიანთ მათი ნახვა ყოველ დღე, როცა რედაქცია ღია არის.

———

კონფისკაცია „კლდისა“. ამასწინად ჩვენი ჟურნალის მე-17 ნომერის რამდენიმე წერილი ადმინისტრაციამ სტამბიდან წაიღო.

მე-18 ნომერს კი კონფისკაცია უყვეს და ყველა მეგაზეთეებს ჟურნალი ჩამოართვეს.

—

ქ. შ. წ.-კ გ. ს. წიგნის მაღაზიის გადატანა. შარშან წ.-კ. საზოგადოების კრებაზედ აღძრული იყო საკითხი, რომ საზოგადოების წიგნის მაღაზია გადატანილ იყოს ქართულ ქარვასლის მიყრუებულ ეზოდან ქუჩის ნაპირას და მასთან, მისი სავაჭრო მასალა შევსებული ყოფილიყო სხვა და სხვა სკოლებისთვის და სასწავლებლებისათვის საჭირო ნივთეულობით. ამისთვის არჩეული იყო საგანგებო კომისია. წარსულ ორშაბათს კომისიის წევრნი—ივ. ზურაბიშვილი, ვ. ლომბაშიძე, რ. გაბაშვილი და დ. ვაჩნაძე, ამ საკითხის გამო შეიკრიფნენ. საზოგადოების გამგეობამ წარუდგინა მათ ყველა საჭირო ცნობანი და მათი განხილვის შემდეგ კომისიამ ერთხმად დაადგინა: 1) საზოგადოების წიგნის მაღაზია უ!ათუოდ გადატანილი უნდა იყოს ქუჩის ნაპირას—გოლოვინის პროსპექტზედ. 2) მაღაზიაში ქართულ წიგნებთან ერთად უნდა იყიდებოდეს ყველა საკანცელარიო ნივთეულობა, და ყველა სახელმძღვანელოები სხვა ენებზედაც. 3) ამისათვის საზოგადოებამ უნდა გამოიღოს პირველ წელიწადს 50υ0 მანეთი ხარჯი (ეხლა 2300 მანეთს ხარჯავს.), რომელშიაც 500 მანეთი ერთდროულ ხარჯს წარმოადგენს (მაღაზიის გადატანა, თაროების გამართვა და საზოგადოთ მაღაზიის შესაფერისი მოწყობა).

კომისიის აზრით ეს ხარჯი არამცთუ ანაზღაურდება შემოსავლიდან, არამედ დიდ მოგებასაც მოიტანს, რადგანაც ხსენებული მაღაზია ამნაირ მოწყობით ცენტრალურ სავაჭრო საწყობად გადიქცევა, საიდანაც ყველა ქართული საზოგადოებანი, სასწავლებლები, სკოლები ყველა საჭირო წიგნებს და ნივთეულობას მუდმივ მოითხოვენ და გამოიწერენ. ამ საკითხის შესახებ მომავალ წ.-კ. საზოგადოების წლიურ კრებას კომისია დასაბუთებულ მოხსენებას წარუდგენს.

—

„ცენტრალური ამიერ კავკასიის მეხილეთა ამხანაგობა“. 22 აპრილს 1914 წელს ნოტარიალურ წესით დაიწერა ხელშეკრულობა „ცენტრალური ამიერ-კავკასიის მეხილეთა ამხანაგობი“-სა. დამფუძნებელნი ხსენებულ ამხანაგ:ობისა შემდეგი პირები არიან: დ. ე. ჩოლაყაშვილი, ვ. გ. მაჩაბელი, ი. ი. ფურცელაძე, ს. რ. ვახვახიშვილი, ვ. ი. რცხილაძე, ლ. ნ. დიასამიძე, გ. დ. ჟურული, ი. ო. იოსელიანი, ი. ვ. ქუთათელაძე, გ. ნ. ვეზირიშვილი, ა. თ. ყიფშიძე, ს. ნ. ყაზახაშვილი, ი. ნ. მაჭავარიანი, ი. ე ფურცელაძე, ა. ხ. აბაშიძე, დ. რ. მაჭავარიანი, დ. გ. გაგლოშვილი, ე. ს. ცალქალამანიძე და ნ. ზ. კეცხოველი.

დღეს დამფუძნებელნი ქ. გორში პირველ დამფუძნებელ კრებას მართავენ, და ახლო მომავალში საქმის განხორციელებასაც შეუდგებიან.

—

ელგუჯა, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა უკლებლივ გამოსცა ის. კერესელიძემ ცალკე წიგნაკად, რომელსაც ჩართული აქვს ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას სურათი. წიგნი 186 გვერდიანია, სუფთად გამოცემულია და ღირს ორი აბაზი.

— —

როგორც ,,სახ. გაზეთს'' ატყობინებენ, პარიზში დაარსებულ საქართველოს უფლებათა ლიგას დიდი მიტინგი გაუმართავს ტირიფონას ველის ექსპროპრიაციის შესახებ. საპროტესტო დადგენილება მიუღიათ რომელიც თურმე ყველა გამოჩენილ პირს დაეგზავნა. იქაურმა გაზეთებმა აღნიშნეს ეს ფაქტი დიდის თანაგრძნობით....... ამბობენ... ამბობენ კი არა სინამდვილეა, რომ განზრახულ სოფლებს ოთხი სოფელი კიდევ მიუმატეს ასაყრელად. სახელდობრ: ბარნაბიანთ-კარი, მეტეხი, გრაკალი და ყარალაჯი. ექვს ამ თვეს სოფლელებს ეწვია მთავრობისაგან გამოგზავნილი შემფასებელი კომისია. კომისიამ შეაფასა მიწები და წინადადება მისცა სოფლელებს ხელი მოეწერათ. სამი სოფლის მცხოვრებნი სულაც არ გამოცხადდნენ და მხოლოდ მეტეხელების მხრით გამოცხადდა სამი მაგრამ ხელის მოწერაზე იმათაც უარი განაცხადეს; მაშინ კომისიამ წინადადება მისცა სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ უთუოდ კომისიის თავმჯდომარესთან გორში, ხელის მოსაწერად. სოფლელებმა კიდეც გამოუგზავნეს თორმეტი კაცი გუბერნიის თავ.-აზ. წინამძღოლს, რათა უშველონ რამე, ეს საქმე სასურველად დაბოლოვდეს.

პოლიტეხნიკუმის კურთხევის გამო

წარსულ კვირას, ქალაქის განაპირას, ანუ უკეთ, ქალაქს გარედ, აკურთხეს საძირკველი პოლიტეხნიკუმისა. წავედი მეცა. მთელი ქალაქის ავტომობილები, ფაეტონები, დილიჟნები, ლიმონათის ეტლები და, წარმოიდგინეთ, ტრამვაის თითქმის ყველა ნომრებიც აქითკენ მიიმართებოდა; მაგრამ გამაკვირვა, რომ არც ერთი ქვეითი არ შემხვდა, იქით მიმავალი. ან ვინ წავიდოდა ფეხით 8 ვერსის სიშორეზედ გადაჭიმულ უდაბნოში, თუმცა მშვენიერი მაისის დღე და კვირაც იყო. თითქმის მთელი გზა და ნამეტნავად ავლაბარი იაფი სამკაულებით იყო მორთული; შუა მოედანზედ იდგა ჩითის სატრიუმფო კამარა უღრამატიკო წარწერით: „Да здравствуетъ просвѣщеніе“, მორთული ოთხფერი ბაირაღებით: წითელი, ლურჯი, ყვითელი და თეთრი. აქამდის ჩვენ გვაცნობდნენ მარტო სამ ფერს: ლურჯსა, წითელსა და თეთრსა, მაგრამ უკასკნელ დროს სომხურ ,,საღამოებზედ'', ,,დილებზედ'' და უქმეებზედ ჩვენ გვხვდებოდა ყვითელი ფერიც რას ნიშნავს იგივე ფერების შეზავება პოლიტეხნიკუმის დღესასწაულზედ? ეს უბრალო შემთხვევაა, თუ სიმბოლო სომეხ-რუსთა ერთობისა? ან იქნება პოლიტეხნიკუმის დღესასწაული—განსაკუთრებით სომხური დღესასწაულია? მაგრამ თავი დავანებოთ ამ სიმბტმოატიურ აღრევას ფერთა და წავიდეთ ნავთლუღში. ყველამ უნდა თავისი თვალით ნახოს ის ,,ფინანსიურ მოსაზრებით'' გამარჯვებული ადგილი, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად ეს უკანასკნელი მოსაზრებაც ჭრება; და თუნდაც ნამდვილად ყოფილიყო, როგორ იჩრდილება იგი იმ უმწეო მდგომარეობით, რომელშიაც ჩაავდეს უმაღლესი სასწავლებელი კავკასიაში. ტრამვაით გავლა რვა ვერსისა, მერე ფეხით კიდევ ორისა იმისთანა ოღრო-ჩოღროებში, რომ კაცი ფეხს მოიტეხს და მერე სასაფლაო. თითქო პოლიტეხნიკუმი უდიდესი ძეგლი იყოს ამ სასაფლაოზედ, მის კარებს წინ ჯვრები და საფლავის ქვები დასვენებული. წინა, მარჯვნივ და ერთ კუთხეზედ—საფლავების მეტი არა მოსჩანს რა. მარცხნივ და მეორე კუთხეზედ ახალი და ძველი სასაკლაო. უკან და შესამე კუთხეზედ სამი რკინის გზა: კახეთისა, ყარსისა და ბაქოსი; აქა-იქ გაბნეულია ყაზარმები, თავლები და მისავალში, მთელი ვერსის მანძილზედ, საქონლის ბაკები, მშვენიერი სურნელებით. რასაკვირველია, ყველა ამის გადატანა **შეიძლება** სხვაგან და განზრახულია; რასაკვირველია, გარშემო შეიძლება ტალახიანი და ბორცვიანი ადგილები გასწორდეს, მოიკირწყლოს, ბაღები გაშენდეს; შეიძლება სახარაც გამშვენიერდეს, მაგრამ ნავთლუღის ამ მდგომარეობაში ჩასაგდებად **ათი მილიონი** არ არის საკმარისი და რომელი ,,ფინანსიური მოსაზრება'' ღა გაუძლებს ამას? აგერ თბილისის თვითმართველობამ უარი სთქვა 80000 მანეთის გადადებაზედ საპოლიტეხნიკუმო ადგილის გასამშვენიერებლად და უეჭველია, ეს გამშვენიერება იმ გულუბრყვილო ხალხის კისრიდან ამოვა, ვინც გაბედავს იმ ადგილებში მიწის შეძენას.

ახლა წარმოვიდგინოთ, რა პირობებში მოუხდება სწავლა მომავალ სტუდენტებს. თუ თბილისში იცხოვრებენ, უნდა მთელი საათი, დილის საუკეთესო საათი გზაზედ დაჰკარგონ და ამ დაკარგვაში ფულიც აძლიონ, რადგან ფეხით ყოვლად შეუძლებელია იქ წასვლა და უფრო მეტადაც დაჯდება. ეხლა ტრამვიით წასვლა 13 კაპ. ღირს და უკანაც 13 კ.—დღეში 27 კ. თვეში შეადგენს 7 მ. 80 კ. უნდა ვიფიქროთ, რასაკვირველია, რომ შემდეგში და ნამეტნავად სტუდენტებისათვის შეღავათიანი პირობები იქნება, ვსთქვათ 8 კაპეიკი. 8+8=16 ესე იგი თვეში 4 მ. 80 კ.—ესეც ძალიან შეავიწროებს ღარიბ სტუდენტობას, რადგან ქალაქ-გარედ გასულს, ჭამაც ენდომება ხომა და ყველამ კარგად იცის თუ სახლს გარედ ჭამა რა ძვირი ჯდება. ამ ,,წვრილმალების'' გარდა, ვიფიქროთ, რომ ყველა სტუდენტი ნავთლუღში, ან თვით ,,ხატისოვკაში'' დასახლდა. იგი ხომ მოწყვეტილი ვერ იქნება დიდი ქალაქის კულტურულ მოთხოვნილებათ: თეატრს, ბიბლიოთეკებს, გართობას და სხ. ან როგორ უნდა შეეგუოს მათი ცხოვრების პირობანი ჰიგიენის მოთხოვნილებათ, როცა მთელი ავლაბარ-ნავთლუღი ანტისანიტარულ მდგომარეობაში არის თავისი ბუნებრივი მდებარეობით და ქალაქის უარეს უბანს შეადგენს.

მაგრამ ვსთქვათ ესეც ,,წვრილმალებია'', რა გუნებაზედ უნდა იყვეს ახალგაზრდა, როცა მისი სისხლი სდუღს და გონება ფილოსოფიურ შემეცნებათა ძებნაშია, და როდესაც ჯერ გამაგრებული და გაჯირკვებული არა აქვს ნერვები და სული—სასალახოსა, სასაფლაოსა და ბაკების ატმოსფერაში. რო-

გორ უნდა გაუღიმოს ცხოვრებას, როცა ერთის მხრით საქონლის სასაკლაო ექნება, მეორის მხრით ადამიანთა სასაფლაო, მესამე მხრით მღვრია და ჭუშყით სავსე მტკვარი და მეოთხეთი ჭვარტლიანი, მქუხარე და უსულო რკინის გზები. როგორ უნდა ემზადებოდეს გამოცდებისათვის სწორედ მაისში, როცა მთელი ბუნება ჰყვავის და ათასფერად იმოსება - ის კი განწირული უნდა იყვეს უდაბნოში სასწავლებლად მკვდრებისა და ლეშის გვერდით. რა ფსიხიკაა, რა მსოფლმხედველობა უნდა შემუშავდეს ამ პირობებში? - მარტო პესიმისტური, მარტო ამშლელი ძალღვებისა, ავითმკვლელობის მომაგონებელი და... ღმერთო შეგცოდე, ყველა საშუალებაც ხელთ ექნებათ: რკინის გზა, მტკვარი და სხ.

მაგრამ ვსთქვათ ესეც წვრიმალია: ცოტა ხალხი და შეგირდობა იკლავს თავსა, რომ ქვეყანა მაინც ბრუნავს და ვარსკვლავებიც თავის ადგილასა რჩებიან;— რა უნდა უყოთ იმ პროფესორებს, რომელთაც მიიწვევთ სასწავლებლად? რომელი გიჟი იქნება—ნავთლუღში დასახლდეს, ან რომელი იკისრებს მთელი საათების, ძვირფასად ღირრებულ საათების დაკარგვას ამ უნუგეშო გზის გავლა-გამოვლაზედ? რასაკვირველია, აუნაზღაურდებათ ფასით, მაგრამ ვანა ეს არ ასუსტებს ფინანსიურ მოსაზრებას?—ეჰ, რომელი ერთი ჩამოვთვალო?— უმწეოა ბედი ჩვენის პოლიტეხნიკუმისა და დეე, ეს სიმბოლო იყოს იმ კულტურტრეგერობისა, რომელსაც აწარმოებდა აქამდის ბიუროკრატია ჩვენში და ახლა იწყობს წარმოებას —სომხობა. ყვითელი ფერი, შერეული ლურჯსა, წითელსა და თეთრში ვერაფერი სანუგეშოა ნამდვილ კულტურულ დღესასწაულისათვის და ჩვენც გვინდა, გულწრფელად გვინდა გახარება უმაღლესი სასწავლებლით, მაგრამ არ შეგვიძლიან: იგი უბედურ ვარსკვლავზედ ყოფილა დაბადებული კავკასიისათვის.

დამსწრე.

„მშაკს“ საპასუხოდ

„მშაკისთვის უკეთესი იქნებოდა, რომ დაბალი ღირსების მუქარის ნაცვლად, რომელიც არც ერთმა დარბაისელმა ორგანომ არ უნდა იკადროს, ანგარიში გაეწია ფაქტებისთვის და არსებითად მოეცა პასუხი, თუ აქვს რამე საპასუხო და თუ შეუძლიან გამართლება იმისა, რაც სომხის ვაჭრებმა ჩაიდინეს სიღნაღში. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რაშიაც არის საქმე და ამიტომ სიღსაღის არჩევნების ისტორიას თავიდან არ დავიწყებთ. ჩვენ მხოლოდ მოკლე შენიშვნით უპასუხებთ „მშაკს“. იგი სწერს: „რაც შეეხება სიღნაღის არჩევნებს, და იმ გარემოებას, რომ სომხები გამარჯვებულნი დარჩნენ, ეს მხოლოდ იმიტომ მოჰხდა, რომ სომეხთა მესაკუთრეები მეტი იყვნენ, არჩევნებზედაც ხმის უმეტესობა მათ ეკუთვნოდათ. რად უნდა დაეთმოთ სომხებს თავისი უფლება ქართველებისთვის, რათა მათ თავისებურად განეგოთ საქმეები“.

ეს სტრიქონები ფრიად დამახასიათებელია და, ჩემის აზრით, ქართველებისთვის ჭკუის მასწავლებელიც უნდა იყოს. ჯერ ერთი, „მშაკს“ ალბად ვერ გაუგია, რა აღშფოთებს ქართველ საზოგადოებას, ან განგებ არა ჰსურს გაიგოს. წარმოვიდგინოთ, რომ სიღნაღში სულ სამი ამომრჩეველია. აიღეს და საქმე ისე მოაწყეს, რომ ერთს მისცეს 9 სომხის ამორჩევის უფლება, ორს კი მარტო ექვსისა, გამარჯვებული, რა თქმა უნდა, ერთი დარჩება, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ერთი ბევრია ორზე და ამიტომ ერთს უფლება აქვს ორზე იბატონოსო.

მაგრამ თავი დავანებოთ ამ „მშაკისთვის“ არა სასიამოვნო ანგარიშს. ეს ვთქვათ, სრული ჭეშმარიტებაა, რომ სომხები უმრავლესობას შეადგენენ და საჭიროდაც მიაჩნიათ სარგებლობა ამ გაბატონებული მდგომარეობით. ერთი გვიბრძანეთ, თუ ყველა ეს ასეა, მაშინ სადღაა თქვენი საქები სოლიდარობა, რომელითაც ყური გამოგვიჭედეთ? თუ გაბატონებული სომეხი ზნეობრივად ვალდებულია თავისი გაბატონებული მდგომარეობით ისარგებლოს, უეჭვლია ასეთი ვალდებულება უნდა ედოს სხვა ეროვნებასაც: ქართველებს, რუსებს, ეს არის თქვენი სოლიდარობა? ამას ეძახდით და ამას ეძახით ძმობასა და კეთილ მეზობლობას? თუ მე ძლიერი ვარ და შენა გჯობნი, ვალდებული ვარ დაგეხმარო, მაგრამ, თუ შენა ხარ ძლიერი, თავში უნდა ჩამირახუნო? თუ ასე გესმით სოლიდარობა, ღმერთმა გვაშოროს თავიდან: იგი ეშმაკისეულია.

„მშაკს“ უნდა მოეხსენებოდეს, რომ „ყველაფერი მიმდინარეობს“, ბერძენი ფილოსოფოსისა არ იყოს. რომ გარემოება შეიცვალოს და იქ, სადაც დღეს სომხები დღესასწაულობენ და პირს იტკბარუნებენ ქართველების დამარცხებით, ქართველები გაჰხდნენ უმრავლესობად და თავიანთი მოქმედების დროს „მშაკის“ რეცეპტით იმოქმედონ, მოუწონებს საქციელს სომხების დარბაისელი გაზეთი?. არა გვგო-

ნია, მოუწონოს? მაშ, ეხლა რაღად ლაპარაკობს ამ კილოზე? რად აქეზებს ნაციონალისტურ უკიდურესობას იქ, სადაც შეთანხმება უნდა ყოფილიყო. მაგრამ, გვგონია ჩვენ იმ კაცის საქმე გვემართება, მგლის თავზე სახარებას რომ კითხულობდა.

გ. ბარელი.

(„სახალხო გაზეთი")

„სახალხო გაზეთი" ხელ ახლა მიმხვდარა და ისიც მირტო „ბარელის" გონებით, რომ სომხის მგლის თავზედ სახარებას კითხულობდა აქამდის; ამ დროს განმავლობაში კი რამდენი ტკბალი ბატკანი გააპარა „მეზობლისა" „კეთილის მყოფელისა" და „დემოკრატის" ქურქში გახვეულმა ტურა-მგელმა. ან რა გასაკვირველია, რომ გგელმა ცხვარი გააპაროს: მგელი რის მგელია, ცხვარი რის ცხვარია, თუ ასეთ განწყობილებაში იქნებიან, მაგრამ პრესა ყოველთვის ის მწყემსი უნდა იყვეს, რომელიც თავის საკუთრებას არავის წაიღებინებს. თქვენ კი რას შვრებოდით „სახალხოელნო"? წაიღეთ ბორჩალოაქალქალაქი, ეუბნებოდით: იქ თქვენი მგელი უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი ცხვარი და თუმცა სხვა ეონადირენიც" ბევრია აქ, მაინც გაიძახდით: რეალური მოსახლეობის პრინციპით ვხელმძღვანელობთო.

„ეს სტრიქონები ფრიად დამახასიათებელია და ჩემის აზრით, ქართველებისათვის ჭკის მასწავლებელიც უნდა იყოს", სწერთ, ბ-ნო „ბარელო". ჩვენ რუსების მდგომარეობაში არა ვართ, რომ ვსთქვათ: „лучше поздно чѣмъ никогда"—ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ ყოველი დაგვიანება გამოუსწორებელი ხიფათია და ღმერთმა ჰქნას რომ ასე გვიან მაინც „ისწავლოთ ჭკუა", თორემ მეტად გულუბრყვილო ხალხი ვართ ქართველები: ყველანი ჩვენის ნებით თავზე დავისხით, ჩვენი უფლებანი და კანონები გაკეთელინეთ და ახლა კი თითზე ვიკბენთ: რა უსამართლობაა სტუმრებისაგანაო. მარტო ბავშვებსა ჰგონიათ ეხლა, რომ პოლიტიკაში სამართლიანობა, სტუმრიანობა და არიფანობაა. პოლიტიკაში ეს ათასი წლის წინადან არა ყოფილა და ეხლა ხომ განათლებული ევროპა ყოველ დღე გვიტკიცებს ამას და რა გიკვირთ სომხებისაგან?!

რედ.

შრომის ჯგუფის განმარტება

ვ. გელოვანის შესახებ

ჩვენ მივიღეთ შრომის ჯგუფის თავმჯდომარისაგან შემდეგი წერილი: ,,მ. ხ. ბატონო რედაქტორო. 17 აპრილს ,,სევერნაია რაბოჩაია გაზეტა''-ში დაბეჭდილი იყო მემარცხენე ქართველი სტუდენტობის განცხადება შესახებ იმისა, რომ ,,გელოვანს ადგილი არა აქვს შრომის ჯგუფში'', ვინაიდან იგი 1) სახელმწიფო-სათათბიროს საბიუჯეტო კომისიაში იცავდა ხალხის უფლებით მოვაჭრე თ. მინგრელსკის ინტერესებს; 2) სახელმწიფო-სათათბიროს საადგილ-მამულო კომისიაში მხარს უჭერდა ქართველ თ.-აზნაურობის ინტერესებს წინააღმდეგ ხიზანთა ინტერესებისა და ამით ხელი შეუწყო ხიზანთა ნახევრად ყმური ურთიერთობის ლიკვიდაციის გადადებას; 3) მან მემამულეების ინტერესებს მსხვერპლად შესწირა უხუთის 90 კომლი გლეხის კეთილდღეობა და ამ დანაშაულის დასაფარავად მიმართა სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებას"

ამის საპასუხოდ შრომის ჯგუფმა მომანდო მე, გამოვაცხადო შემდეგი:

1) ვ. გელოვანის მონაწილეობა თ. მინგრელსკის საქმეებში განისაზღვრა საზოგადოთ მით, რომ იგი აწარმოებდა ადმინისტრატიულ საქმეს, მინგრელსკისათვის ერთი მილიონის გადახდის შესახებ, რომელიც ერგებოდა მას (მინგრელსკის) სამთავრო უფლებათა დათმობისათვის, თანახმად 1867 წ. რუსეთის მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულობისა. ხოლო სახელმწიფო სათათბიროში გელოვანის დამოკიდებულობა ამ საქმესთან გამოიხატა იმაში, რომ ვ. გელოვანმა საბიუჯეტო კომისიაში (1913 წ. 14 მარტს) განაცხადა, რომ სათათბიროს წევრად არჩევის უმალვე მან უარი სთქვა თ. მინგრელსკის ამ ერთად ერთის საქმის წარმოებაზედაც. 2) სახელმწიფო-სათათბიროს საადგილ-მამულო კომისიაში ვ. გელოვანი მოქმედებდა სრულიად შეთანხმებულად ქართველ დეპუტატ ჩხეიძესთან, მასთან ერთად შეჰქონდა წინადადებანი გლეხების ინტერესების დასაცავად და ზოგიერთი გაუმჯობესება ხსენებული კანონ-პროექტისა მიღებულ იქმნა ვ. გელოვანის და ნ. ჩხეიძის მეთაურობით. 3) კავკასიური გაზეთები (გაზეთი), რომელთაც დაბეჭდეს

ცნობა შესახებ ,,ბოროტ-მოქმედებისა'' და ,,დანაშაულისა'' უხუთის გლეხების საქმეში, გელოვანმა პასუხისგებაში მისცა ცილისწამებისათვის.

ყოველივე ამის მიხედვით ცხადია, რომ პირველსა და მეორე მუხლებში მოხსენებულ გარემოებას არც შეეძლო ნამდვილად მიეცა რაიმე საბაბი საკიდხის აღსაძრავად: ღირსია თუ არა ვ. გელოვანი იყოს შრომის ჯგუფში.

რაც შეეხება მესამე მუხლს, უადგილოა რაიმე ბრალის დადება, სანამ სასამართლო საქმეს გაარჩევდეს.

ამას გარდა მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ ვ. გელოვანი უცვლელად აღჭურვილია შრომის ფრაქციის სრულის ნდობით.

მეტი არ იქნება იმის აღნიშვნაც, რომ თუმცა განცხადება ხელმოწერილია ,,სოც.-დემოკრატების მომხრეების და მემარცხენე ხალხოსნების (ესერების) მიერ'', მაგრამ ფრაქციის ცნობებით ქართველ სტუდენტების მეხალხოსნე ჯგუფიდან მონაწილეობას იღებდა მხოლოდ სამი და მათაც არ ჰქონდათ რაიმე რწმუნებულობა დანარჩენ თავის ამხანაგებისაგან.

ყოველ შემთხვევაში, გელოვან-გეგეჭკორის საქმის გამო სამედიატორო სასამართლოს გამოტანილ განაჩენის შემდეგ, ფრთხილად უნდა იყოს ყველა, ვისაც შესაძლებლად მიაჩნია პარტიულ ბრძოლაში პირადი გამოლაშქრება. შრომის ჯგუფის ფრაქციის თავმჯდომარე ა. კერენსკი. 1914 წ. აპრილის 30-ს''. (სახ. გაზეთი).

——

ასეთმა განმარტებამ შრომის ჯგუფისაგან, რა საკვირველია, უნდა გაახაროს ყველა ქართველის და ჭეშმარიტ დემოკრატის გული, რომ, რაც უნდა იყოს ჯერ იმდენად არა ყოფილა პირშერცხვენილი კიდევ ერთი ქართველი, როგორც ეს ისახებოდა თავდაპირველ ბრალდებებში; მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ განმარტება თითქმის არაფერს არ განმარტავს.

1) მინგრელსკის საქმის თავის დანებება გადეპუტატების დროს ვერაფერი პლიუსია გელოვანისათვის, თუ კი იგი საქმე ადმინისტრაციასა და მინგრელსკის შუა სადავო საკითხს შეეხებოდა.

2) ხიზანთა საკითხში რომ ჩხეიძესთან ერთად მოქმედობდა—ესეც პოლიტიკურ სიბეცის ბრალია, და არა დემოკრატიული შეგნებისა, რადგან გელოვანი იმდენადვე იცნობს ხიზანთა საკითხს კონკრეტულად, რამდენადაც ბ-ნი ჩხეიძე და შრომის ჯგუფის განმარტება მხოლოდ იმას მოწმობს, რომ იგიც (ჯგუფიც) შეცდომაში შეეყვანიათ ნამდვილსა და ცრუ სოციალისტებს ჯერ მაგალითი არა ყოფილა რუსეთის იმპერიაში, რომ ბიუროკრატიის პროექტს და სოციალისტების სულის-კვეთებას ასეთი შეხმატკბილება მიმდინარეობა ჰქონოდეთ, როგორც ხიზანთა საკითხში და იმდენად ბეცნი არიან უკანასკნელნი, რომ ბიუროკრატიის ხრიკში დემოკრატიზმის პრინციპსა ხედავენ. ესეც არ არის პლიუსი გელოვანის აზროვნება მოქმედებისა.

3) რაც შეეხება იმას, რომ გელოვანმა სამართალში მისცა „ცილისმწამებელი" გაზეთით — ეს აგერ ხუთი თვე არის გვესმის და რაღა სახელმწიფოსათათბიროს დეპუტატს გაუჭიანურდა ცილისწამების დარღვევა ხუთ თვეზედ, როცა ასეთი საქმეები ორ კვირაში გაირჩევა ხოლმე. ან თუკი შრომის ჯგუფს შეძლება ჰქონია გელოვანის გამართლებისა პირველ ორ მუხლში, რად უცდის იგივე ჯგუფი ოფიციალურ სასამართლოს? არ შეეძლო განა, ისიც განემარტა, თუ **რითი** არღვევს ბ-ნი გელოვანი „ფიქრის" „ცილისწამებას"?

რედ.

ჩვენს ლექციებზედ

(სახელმძღვანელო შენიშვნები ქართველ ლექტორებისათვის)

თუ გსურთ წაიკითხოთ ლექცია, მაგალითად, უდიდეს მეცნიერ ნიუტონზედ, საკმარისია იცოდეთ, რომ ერთს სიცხე პაპანაქიან დღეს ნიუტონი იჯდა ხის ქვეშ და უეცრად მაღლიდან ჩამოვარდნილმა ვაშლმა მოიღო ტყაპანი. ეს იყო და ნიუტონის მიერ აღნიშნულ მიწის მიმზიდველ ძალის კანონი მზად იყო.

ეს მაგალითი შეგიძლიანთ იკმაროთ, რომ ნათლად დაუხატოთ მსმენელ ქაველ აუდიტორიას ნიუტონის მეცნიერების შინაარსი, მისი მეცნიერული მეთოდები და თუ გსურთ ვრცელი მისი ბიოგრაფიაც.

ვაშლის ხე და ვაშლი თქვენც გინახავთ და ყოველ ქართველსაც... ხის ძირშიაც არა ერთხელ დაგიძინიათ... ამიტომ ძალიან ადვილია მიახვედ-

როთ იგი ნიუტონის მეცნიერებასა და რასაკვირველია ბიოგრაფიასაც.

——

საზოგადოთ თუ დიდ ადამიანთა ბიოგრაფიის კითხვა უფრო გეხალისებათ და გეხერხებათ მაშინ არ დაივიწყოთ შემდეგი:

თუ კითხულობთ ლექციას დიმიტრი ყიფიანზედ-მაშინ უსათუოდ ამ დიდ-ბუნებოვან ადამიანის დახასიათებაში ხაზი გაუსვით იმ გარემოებას, რომ 1853 წელს დიმიტრი ყიფიანმა თავის მოჯამიგირე ტრიფონე კილენჯერიძეს ჯამაგირიდან დაუკლო ერთი მანეთი. ეს ფაქტი მეტად გიშველით იმის მტკიცებაში, რომ დიმიტრი ყიფიანი საშინელი მებატონე და ბატონ-ყმობის იდეოლოგი იყო.

ილია ჭავჭავაძეზედ ხომ თამამად შეგიძლიანთ სთქვათ, რომ იგი ულასტიკესი ფეოდალი იყო, რადგანაც თითონ თავის წყაროს წყალსა სვამდა და სხვებს არ აძლევდა.

ამასთან უსათუოდ მსმენელს მიუთითეთ საგურამოს შავს ჯვარზედ და პათეტიურად შეჰყვირეთ: აი საბუთი, რომ ილია ჭავჭავაძე ფეოდალი იყო! ეს ჯვარი მას დემოსმა აუგო!.. (ლაყე კვერცხისა არ შეგეშინდეთ).

ირაკლი II-ზედ პირდაპირ იტყვით, რომ იგი არამცთუ ფეოდალი იყო, არამედ მეფეც, ესე იგი მკვლეფავთა მყვლეფავი, ექსპლოატატორი მუშა ხალხისა! და აღელვებული პროტესტის ნიშნად ლექციაც შესწყიტედ.

——

მეტად ადვილია ლექციების წაკითხვა ახალ ქართულ ლიტერატურაზედ და პოეზიაზედ:

მაგალითად თუ კითხულობთ ჯ. ჯორჯიკიაზედ, ამოწერეთ სალექციო ფურცლებზედ მთელი მისი ნაწარმოებნი, ლამაზ დიქციით და ჟესტებით წაუკითხეთ იგი აუდიტორიას და ბოლოს მსმენელებს შეკითხვით მიმართეთ: ბ ბ. ნუ თუ ეს ნაწარმოებნი არ ეკუთვნით დიდებულ ახალგაზრდა მწერალს? ჯილდოთ მიიღებთ უსაშინელეს ტაშის გრიალს.

თუ ა. ჭუმპაძეზედ გსურთ კრიტიკულ რეფერატის დაწერა და წაკითხვა ამოსწერეთ ის უმშვენაერესი ესკიზ-მოთხრობა, სადაც თავიდან ბოლომდე საუცხოვო სინამდვილით დახატულია ერთი ქალ ვაჟის ვნებათა ღელვა, როდესაც უკანასკნელნი „საწოლზედ გორაობდნენ", მაგრამ გირჩევთ, რომ ამ თქვენ რეფერატსი კრიტიკულს" ნუ უწოდებთ, რადგანაც დარწმუნებული ვარ ,,ვნებათა ღელვა', ახალგაზრდა ქალ-ვაჟისა ისე გაგიტაცებთ, რომ რასაკვირველია კრიტიკას ველარ მოახერხებთ.

ამ ლექცია-რეფერატს არავითარი თქვენი შენიშვნები აღარ მოუნდება. ლექცია წაკითხული უნდა იყოს შესაფერის სახის მიმიკით და „ჟესტიკულაციით".

როდესაც პოეზიაზედ კითხულობთ — არ დაგავიწყდეთ ერთი რამ: როგორც კი 12—15 წლის ბიჭუნა ორ-სამ ლექს დასწერს, მაშინვე დაამზადეთ თქვენი ლექცია, თორემ შესაძლოა სხვამ დაგასწროთ, მასთან იცოდეთ, რომ ქართველი ახალგაზრდა პოეტები ძალიან წყრომის ხალხია. ამიტომ ყველა ამ ნაირ ლექციებს უნდა ჰქონდეთ ამგვარ სათაურები: „შესანიშნავი პოეტი", „ბალმონტის მასწავლებელი მზის პოეტი", „დიდებული", „უდიდესი", „ულამაზესი" და სხვა. მასთან ყოველი პოეტი უნდა მარტო აქოთ, აქოთ, აქოთ, აქოთ... თორემ გაგიწყრებიან და ჩვენს ქალებს აღარც ტყეში წაიყვანენ და აღარც ბუჩქებში... საქართველოსაც გაუწყრებიან და აუცილებლად დაღუპვის გზაზე დააყენებენ. ერთი სიტყვით ფრთხილად მოიქეცით და ლექციის დამთავრება ადვილად და მშვიდად ჩაგივლით-

——

ასევე ადვილია წაკითხვა „კოოპერაციაზედაც". ამისათვის წაიკითხეთ შინ რუსული ბროშურა: „როგორ გამოასწორეს თავისი მეურნეობა სოფელ ვიპივალოვსკის მცხოვრებლებმა" ფასი 3 კაპ. გადათარგმნეთ იგი ქართულ ენაზედ; სადაც სახელი „ვიპივალოვკა" შეგხვდებათ იქ სოფ. „ოქროყანა" მოიხსენიეთ. ქართული ლექცია კოოპერაციაზედ მზად გექნებათ.

——

ცოტა ძნელია მარტო უმავთულო ტელეგრაფზედ ლექციის წაკითხვა. მაგრამ აქ ჩიტები მოგეშველებიან. დაიწყეთ ასე და აუხსენით შემდეგი მაგალითით: „პატივცემულნო მსმენელნო, როდესაც თქვენ კახეთის შარა გზით ქ. თელავს ან სიღნაღს მიემგზავრებით, უსათუოდ შეამჩნევდით გზის ნაპირას მაღლა ჰაერში გაშეშებულად მჯდომ ჩიტებს. თქვენ რასაკვირველია გეგონებათ, რომ ჩიტები ჰაერში სხედანა მაგრამ არა! ეს მარტო თქვენი თვალები გატყუებთ: ჩიტები ტელეგრაფის მავთულებზედ სხედან. აი, როდესაც ჩიტები ჰაერში არა სხედან — აი ეს უმავთულო ტელეგრაფია"... მეტად გაუნათლებელი უნდა იყოს ქართველი მსმელი, რომ მაშინვე არ წარმოიდგინოს უმავთულო ტელეგრაფი და მისი დიდებული მნიშვნელობა კა-

ცობრიობის წინსვლის განვითარებაში. რაც შეეხება ელექტრონის ტალღების მოძრაობის ახსნას - დაჯექით სკამზე და ენერგიულად ხელები მიიქნ-მოიქნიეთ (უსათუოდ არეულად და სხვა და სხვა მხრივ). ამ დემონსტრაციის შემდეგ უმავთულო ტელეგრაფის მუშაობის მიზეზი ყველასათვის ნათელი იქნება. ეს ლექცია, რომ ყოველ დღე იკითხოთ არავის მოსწყინდება—პირით სახელსა და ფულს მოგიხვეჭთ. ქართველ საზოგადოებაში*).

— —

ყოველ ლექტორს ურჩევთ მათი კოლეგის ცნობილ გამომგონ--ლექტორის ი. ვაჩნაძის, „საოფლე წინდებში“ გამოეწყოს და ისე შეუდგეს ლექციის კითხვას. „საოფლე წინდები“ საზოგადოთ აშრობს ოფლს და ამით ჩვენს ლექტორებს დიდი შეღავათი მიეცემათ. არც ოფლი და არც სიწითლე მათ მჭერმეტყველურ სახეს აღარ მიეკარება.

ლიმონა.

თეატრი და ხელოვნება

8 მაისს, სახალხო სახლში მეოთხედ დადგეს შ. დადიანის მინიატურა „პირიმზე“. მართალი მოგახსენოთ გვეძნელება ამ ნაწარმოებს სახელი დავარქვათ, რადგანაც ავტორს აზრად არა ჰქონია პიესა დაეწერა, ტეხნიკურად შემუშავებული და ფორმით დასრულებული.

ამ სამი-ოთხი წლის წინად მემუსიკე კ. ფოცხვერაშვილმა რამოდენიმე კაცს გვიამბო ზღაპრული მოთხრობა და გამოსთქვა სურვილი ამ თემაზე ოპერის, ან მუსიკალური ფეერიის დაწერისა, რომ ვინმე ლიბრეტოს დამიწერდესო. ა. შანშიაშვილმა ისარგებლა ფოცხვერაშვილის ამ ზღაპრით და „შვების თავადი“ დასწერა და შ. დადიანმა კი ერთ მოქმედებიანი გალექსილი ლიბრეტო +) ოპერისათვის. მართალია, ფოცხვერაშვილი თვისი შემოქმედების ხასიათით უფრო დრამატიულ ოპერას თანაუგრძნობს და უფრო ვაჰნერის მიმართულებას ექვემდებარება და მაშასადამე საოპერო ლიბრეტოს დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის, მაგრამ როგორც მას, აგრედვე შ. დადიანს **უმთავრეს** ნაწილად მუსიკა მიაჩნდათ ამ ნაწარმოებში და არა ლიბრეტო; აქაც ისინი სიტყვებს მუსიკის სასამსახურად ხმარობდნენ და მაშასადამე უსამართლობა იქნება ამ ლიბრეტოს დრამატიულ ნაწარმოების საზომით მიუახლოვდეთ, როგორც ეს ჩაიდინა გაზ. „თემში“ მ. წულუკიძემ. მან დიდის ამბით, ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ და სხ. მხრით გაარჩია ეს ლიბრეტო და... როგორც საერთოდ სჩვევიათ ჩვენს ბრძენ რეცენზენტებს, გამოაცხადა პიესა მხატვრული არ არისო; იდეის შესახებ ბევრი რამე ითქვა, მაგრამ თითონვე დაიბნა, ჩვენც დაგვაბნია ნამეტანი ფილოსოფიით და ვერ გავიგეთ არის თუ არა საყურადღებო იდეა ამ პიესაში.

ჩვენ არ შეგვხვედრია ისეთი სათეატრო რეცენზია, სადაც არ იყოს ეს ფრაზა: პიესა არ არის მხატვრული (ან: ძლიერ მხატვრულია), მაგრამ ის კი ვერ გავიგეთ, როგორი უნდა იყოს ეს „მხატვრული ნაწარმოები“; არც ერთი ამ ჯურის კრიტიკოსი არ ცდილა აეხსნა, რას გულისხმობს იგი ამ ფრაზაში და ჩვენი საზოგადოებაც უნდა უსიტყვოდ დასთანხმდეს ბ-ნ რეცენზენტს. რეცენზიები ჩვენში თითქმის ერთი შაბლონით იწერება და რეცენზიას სწერს ყველა, ვისაც ანბანი უსწავლია და სრულიად სამართლიანად აღნიშნეს და კიდეც გაჰკიცხეს ეს მოვლენა სოც.-დემოკრატიულ პრესაში.

განა სასაცილო არ იქნება ის რეცენზენტი, რომელიც მაგალ. ვაჰნერის „ნიბელუნგთა ბეჭედის“ ლიბრეტოს დრამატიულ ნაწარმოების საზომით მიუხტეს და „ბდღვირი ადინოს!“

და სწორედ ასეთ სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნენ მიხ. წულუკიძე და „სახ. გაზ.“ რეცენზენტი; დიდის რიხით გაარჩიეს ეს „პიესა“ და განაცხადეს: კ. ფოცხვერაშვილის მუსიკა მშვენიერი იყოვო, მაგრამ დახედეთ უბედურებას... მეორე დღეს რეჟისორმა წულუნავამ განაცხადა: ფოცხვერაშვილის მუსიკა ხელთ არა გვქონდა, ერთი ადგილის გარდა და დანარჩენი კი ისე, შინაური მუსიკა იყოვო. ასეთივე საქმის ცოდნა გამოიჩინა მიხ. წულუკიძემ, როცა განაცხადა: პიესა მხატვრული არ არის და ის აღტაცება, რომელიც მან გამოიწვია მაყურებლებში მხოლოდ რეჟისორს უნდა მიეწეროსო. მან პროცენტებითაც კი გამოიანგარიშა, რომ $^{9}/_{10}$ იმ შთაბეჭდილებისა რეჟისორის მეოხებითაა გამოწვეული და მხოლოდ $^{1}/_{10}$ ავტორისაო. მართალია ნიჭიერი რეჟისორის ხელი თვალსაჩინოდ ეტყობა დადგმას, მაგრამ ლიბრეტოშიაც ყოველი

*) სიბეჭდი ამისი: დღეს „სახალხო სახლში“ აინქოშეული ისევ კითხულობს თავის ლექციას.

დეტალი, ყოველი მოქმედება სცენაზე აღნიშნულია და ნაჩვენები, ასე რომ ის სასცენო ეფექტი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, ავტორსაც წარმოდგენილი ჰქონდა.

თუ მხატვრულ ნაწარმოებს ისეთს ვუწოდებთ, სადაც ფორმა სრულიად შეეფერება იდეას, თუ ღრმა იდეა სრულიად გადაშლილია და საკმაოდ გაშუქებული და გამოხატული, ამ მხრით ,,პირიმზე'' ვერ დაგვაკმაყოფილებს, რადგანაც ის ღრმა იდეა, რომელიც გამოთქმულია ვერ ჩაეტევა ამ პატარა ,,ლიბრეტოში''. ამას უთუოდ ავტორიცა გრძნობდა, მაგრამ ეს ნაკლი მუსიკას უნდა გამოეთქვა, მუსიკას უნდა შეევსო. მაგრამ ამასთანავე, თუ ეს ლიბრეტო, რომელიც უმუსიკოდ არაფერს არ უნდა წარმოადგენდეს, აგრე მოგვეწონა და პიესის ადგილს იჭერს და რამდენჯერმე სიამოვნებით მოისმინება, სჩანს, ძლიერ კარგად ყოფილა დაწერილი.

მხატვრულმა ნაწარმოებმა უნდა ჩვენს ემოციათა სფეროზე იმოქმედოს და წმინდა ესთეტიური ტკბობა მოგვცეს. მხატვრული ნაწარმოები თუ გამოიწვევს ჩვენში განზრახულს ემოციებს, იგი მაშინ ჩაითვლება მხატვრულად. პირიმზეში ჩვენ უნდა ვგრძნობდეთ ბოროტ სულთა საშინელებას და კეთილთა სიმშვენიერეს, უნდა ვგრძნობდეთ სიდიადეს მათი ბრძოლისას, უნდა ვიგრძნოთ ადამიანის ყოფნის ამაოება, დაუსრულებელი ტანჯვა, აღურაცხელი მსხვერპლი და სხ. და ამ მხრივ ეს პატარა მინიატიურა დაიკვეხის, რომ ყველა ამას მიაღწია. ვიმეორებთ, როგორც დასრულებული პიესა, იგი სუსტია, მაგრამ როგორც მინიატიურა, როგორც აზრიან მუსიკისთვის ლიბრეტო, საკმაოდ ხერხიანად დაწერილია.

ნაცნობი.

ბ. რედაქტორო!

უკვე გაგებული გექნებათ, რომ ქ. ბაქოს მახლობლად ჭირი (чума) გაჩნდა; ჯერ იმდენად არ გამწვავებულა, მაგრამ თუ ბაქოს ქარხნების მუშებში თავი იჩინა მაშინ მთელს ბაქოს გუბერნიას დიდი უბედურება მოელისო და შემდეგ, ეჭვს გარეშეა, კავკასიაში ყოველ კუთხეს მოედება. ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ამ გარემოებას ახლავე ყურადღებას მიაქცევდეთ და ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედქტორები თავთავიანთ ჟურნალ-გაზეთის საშუალებით წინადადებას მისცემდეს სოფლის მღვდლებსა და მასწავლებლებს და სხვა მოწინავე პირებს, რომ მათ შესაფერი გაფრთხილება და დარიგება მისცენ ხალხს სისუფთავეზე და სხვა საწინააღმდეგო ღონისძიებაზე, როდესაც კვირა-უქმე დღეს ხალხი იკრიბება ეკლესიებზედ სალოცავად ან სხვაგან რაიმე საერთო მიზნისათვის.

პატივისცემით **კ. გაბუნია:**

7 მაისი ქ. ბაქო

— —

რასაკვირველია, სასურველია და საჭიროც, რომ საზოგადოებამ და ინტელიგენციამ მიიღოს ყოველგვარი მონაწილეობა ჰიგიენურ პირობათა შესაქმნელად, რომ სათავეშივე მოსპობილი იყოს საშინელებანი ჭირისა, მაგრამ ჩვენის აზრით, ამას უმთავრესად ანგარიში უნდა გაუწიოს და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს ქალაქების თვითმართველობათ და ადმინისტრაციამ, როგორც საზოგადო უბედურების მოვლენას. კერძო ინიციატივა, ან თუნდ საზოგადოებრივი ანტისანიტარულ მდგომარეობასთან და ჭირთან ბრძოლაში მეტად ძნელია თავისთავადაც და ნამეტნავად რუსეთის პირობებში. ჩვენ მოუწოდებთ ბაქოს და სხვა კავკასიური ქალაქების თვითმართველობათ და ადმინისტრაციას ფართო ზომები მიიღოს ჭირთან საბრძოლველად და საზოგადოების თანაგრძნობა და დახმარება ყოველთვის მზად არის ამ საკეთილო საქმეში მუშაობისათვის.

რედ.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ქართული საწერი მანქანა

თანამედროვე კულტურის განვითარებაში დიდი ადგილი უჭირავს ორთქლის და ელექტრონის შემოღებას. თითქმის ასეთივე მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობისათვის საწერი მანქანის გამოგონებას. დღეს ყველა კულტურულ ერს მოეპოვება თავის ენაზე საწერი მანქანა, მხოლოდ ჩვენ ქართველები შევადგენდით აქამდის გამონაკლისს.

1909 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პირველად გადადგა ნაბიჯი ამ საქმის განსახორციელებლად და დაიკვეთა ათი ცალი ქართული საწერი მანქანა, მაგრამ ასოები ძლიერ ცუდათ იყო ამოჭრილი და ამას გარდა ძვირიც დაჯდა, სახელდობრ 275 300 მანეთი თითო. **ამ გარემოებამ ძლიერ შეუშალა ხელი მანქანის გავრცელებას.**

რომ ეს ნაკლი შევსებულიყო და ჩვენი ქვეყანაც საერთო კულტურის ფერხულში ჩარეოდა, ჩვენმა ფირმამ უკვე შარშან კავშირი დაიჭირა საწერი მანქანების საუკეთესო ქარხანასთან და დაუკვეთა ქართული საწერი მანქანა.

აქვე ჩვენი საზოგადოების ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: საწერი მანქანის ასოები იმავე ფორმის არ არიან, როგორც საბეჭდავი ასოები, ვინაიდან საბეჭდავი ასოები ხსვა და ხსვა ზომისანი არიან და საწერ მანქანაზე კი საჭიროა, **რომ ყველა ასოები ერთი ზომისანი იყვნენ.** ამის გამო მიუჩვეველი თვალისათვის პირველად შეიძლება არაჩვეულებრივი იყოს, მაგრამ თან და თან მიეჩვევიან.

ამავე მანქანაზე მოთავსებულია რუსული ასოებიც, **ასე რომ რუსულადაც შეიძლება წერა.** ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ დაწესებულებათათვის, სადაც რუსულ ენაზე მიწერ-მოწერა, ნებით თუ უნებლიეთ სავალდებულო არის.

რასაკვირველია, ყოველივე ახალი მანქანის გაუმჯობესება შეიძლება და თუ ჩვენი საზოგადოება ამ საქმეს თანაგრძნობით შეხვდა, მისი თან და თან გაუმჯობესება ადვილი საქმეა.

ორივე ენაზე ერთად მანქანას ჩავაბარებთ ჩვენში ყველა ადგილებში **ას ოთხმოც მანეთად** (180 მ.). **თითო გამოწერილ მანქანას თ ნ გაძოვაყოლებთ ქართულ ენაზე დაწერილ სახმარ დარიგებას.**

ამ მანქანის გასავრცელებლად ჩვენში, ფირმის წარმომადგენელად არის ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „იმერეთი"-ს გამგე ბატონი **ისიდორე კვიცარიძე,** რომლის კანტორაშიაც ქუთაისში მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ჩვენი სანიმუშო მანქანა.

დაკვეთა შეიძლება პირდაპირ ჩვენგან შემდეგი მისამართით:

D. GHAMBASHIDZE et C°.
61. Mark Lane.
London. E. O.

ან ჩვენი ფირმის წარმომადგენელთან შემდეგი მისამართით: ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „იმერეთი" ბ-ტონ **ისიდორე კვიცარიძე.** ქუთაისი.

დაკვეთისთანავე, მყიდველმა უნდა გადაიხადოს ორმოცი მანეთი (40 მ.), რომელიც უნდა გადაიგზავნოს ბათომის საურთიერთო ნდობის ბანკში ქ. ბათუმში, დანარჩენი ას ორმოცი მანეთი (140 მ.) კი გადახდებათ ჩაბარებისას.

ამასთანავე, გიგზავნით ქართულ-რუსული ნაწერის ნიმუშს და იმედი გვაქვს ჯერ-ოვანის თანაგრძნობით შეხვდებით ჩვენს წინადადებას.

პატივისცემით **დავით ღამბაშიძე და ამხ.**

ლონდონი 5 მაისი 1914 წ.

რედაქცია, ამასთანავე ამოწმებს, რომ გამოგზავნილი ნიმუში ლამაზი შრიფტით არის ნაბეჭდი და მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს.

რედ.

ᲥᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის. გაზეთის ფასი: ერთი წლით—7 მან. ნახევარი წლით 4 მან ერთი თვით—80 კ **ცალკე ნომერი ერთი შაური.**

ადრესი: Кутаисъ, редакція газ. „Имерети“.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲡᲐᲢᲧᲠᲝ-ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ, ᲡᲐᲗᲔᲐᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ“

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ-კორესპოდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარ-გარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილნი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი, და მხატვარ-ხელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად 5 მ. (ამ წლის დამლევამდე - 4 მ.) ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი ორი შაური. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამატ. საზოგ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან (,,სორაპ-ნის'' სტამბაში).

1894 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ **1914** ᲬᲚᲐᲛᲓᲘᲡ

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲦᲘᲜᲝᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲦᲘᲜᲝ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲙᲐᲮᲔᲗᲘ“-ᲡᲐ

ტელეფონი: № 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63 და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ-ᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ს. ᲚᲝᲡᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 5.